

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ბრძოლა — პიროვნული თავისუფლებისათვის
პიროვნული თავისუფლების ბრძოლა — ეროვნული თავისუფლებისათვის

ეროვნული
თავისუფლება

საქართველოს სახალხო ფრონტი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 9 (65)

7 მარტი, შაბათი, 1992 წ.

ბათუმის პარასკეობით

ბათონ ზვიად გამსახურდიას

(ლია ნერილი)

ნოდარ ნათაძე

ბათონ ზვიად! კარგად მოგესვენებათ, რომ არასოდეს დამიყენებია ეჭვის ქვეშ თქვენი პრეზიდენტად არჩევის კანონიერება და არასოდეს დამიმაღლავს ჩემი აზრი, რომ თქვენი მოქმედება აჭარბებდა თქვენს კანონიერ უფლებამოსილებას. ისიც მოგეხსენებათ, რომ ჩემი შეხედულებით, თქვენ ქვეყანა ვერ მართეთ, მაგრამ მე არ მივმხრობივარ თქვენს წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ მოქმედებას, რადგან მოვლენათა სასურველი განვითარება სულ სხვაგვარად მქონდა წარმოდგე-

ნილი. ამიტომ დღეს შემიძლია სრული თბიქტურობით ვიმსჯელო საკითხზე, რომელსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დღევანდელი და მომავალი ცხოვრებისთვის. მე თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ერთ გარემოებას, ხოლო დასკვნის გამოტანას თქვენვე გიტოვებთ.

საქართველოს მტრებს დღეს ისე არაფერი სჭირდებათ, როგორც ჩვენს ქვეყანაში ქალის ორგანიზაცია, რათა არ დაუშვან საქართველოში კანონიერი და სიცოცხლისუნარიანი სახელმ-

წიფოებრიობის შექმნა. ის, რომ საქართველოში დღეს პოლიტიკური მოტივით გაჩერებულია საწარმოები, წყობილებიდან გამოყვანილია ტელესარელო ანძები, ხდება აფეთქებები რკინიგზაზე და ა.შ. რომ არ არის ქუჩაში უსაფრთხოება და რაიონებში სიმშვიდე, ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობს ჩვენი მოწინააღმდეგეების ზემოხსენებული სურვილის განხორციელებას. ეს სხვა არა არის რა, თუ არ საქართველოს დღეს მმართველი ფაქტობრივი ხელისუფლებისათვის — დროებითი მთავრობისათვის —

დარტყმის მიყენება თვით საქართველოსთვის დარტყმის მიყენების გზით. თქვენი განცხადებებიდან პრესით და მოსკოვის ტელევიზიით ჩანს, რომ თქვენ პასუხისმგებლობას კისრულობთ „დაუმორჩილებლობის“ კამპანიისთვის, რომლის შემადგენელ ნაწილსაც შესაძლოა, წარმოადგენენ ზემოხსენებული აქციები. თუ ასეა, მაშინ საშუალება გაქვთ, შეაჩეროთ ეს აქციები საჯარო მოწოდებით თქვენი მომხრეებისადმი, რომ თავის პოლიტიკურ მოქმედებაში არ მიჰმართონ ისეთ ზომებს, რომლებიც აზარალებს საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობის უსაფრთხოებას. ამით თქვენ გზას გადაუკეტავთ საქართველოში მომუშავე ორგანიზებულ ანტიქართულ გარეგან ძალებსაც, რომელთაც დღეს საშუალება აქვთ ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი ტერორისტული ან დივერსიული აქტი მოახდინონ და იგი „დაუმორჩილებლობის“ კამპანიას მიაწერონ. თუ თქვენი მოწოდების შემდეგ ეს აქციები გაგრძელდება, ამ უცხო ძალთა მონაწილეობა ჩვენს უბედურებაში უფრო ნათელი გახდება.

დღეს ნოემრშია:

ილია ბარამიძე:
სუკის
ლაბირინთაგუმი
80-2 გვ.

„ვოტ პრიდატ ბარინ...“
ფელიქს
კოჭიაშვილი
80-3 გვ.

დეკემბერი-
იანვრის
ტრაგედია და
ზოგიერთი
დასკვნები
ფალავა ხიდაშელი
80-4 გვ.

თამარ ფიფია:
თავისუფლება
თუ
კლავსუფლება?
80-6, 80-7 გვ.

ქალის გული მოგების მრავალი გზა არსებობს. ყველაზე საპატიოა, თუ მას, რუსთაველის გამრეზივით, სასახელო საქმეებით მოხიბლავთ. შეგიძლიათ იგი მონადირით თვალადობით, ტანადობით, მდგომარეობით, საჩუქრებით, ფულითაც კი. ნუ გგვონებათ, რომ ეს უკა-

ქალს გაჭირვებას, რათა გამოუვალ მდგომარეობაში მოაქციოთ და აიძულოთ, თვითონ შემოგვხვეწოთ, ოღონდ გადაამარჩინე და ჩემი თავი ღმერთმა შეგარგოსო!

ასეთი ქალის მდგომარეობაშია დღეს საქართველო...

კაცებო! გავუფრთხილდეთ იმის პატივს, ვინც ყველა-

წერილი რედაქციას

წინდაწინ მოგიხდით ბოდიშს, ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე ენერგეტიკული კრიზისის ჟამს კერძო პრობლემის გამო რომ გავუხუხუხებთ. ახლა წუწუნისა და საჩივრებისათვის დრო არ არის და, გვერწმუნეთ, არც ჩვენ გვაქვს ამის განწყობა. მაგრამ მიგვაჩნია, რომ რაც უნდა აწეწილ-დაწეწილი იყოს საქმე, არსებობს ელემენტარული წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია.

საქმის არსი შემდეგია. დიდი დილმის დასახლებაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დენის ქურდებით სარგებლობს. საკმარისია, ხანგრძლივად გამოირთოს ელექტრობა და ხელფეხშეკრული ვართ, სხვას რომ თავი დაანებო, საჭმელს ვერ გაათბობს კაცი.

არადა, ამ ბოლო დროს, ყოველგვარი გრაფიკის დარღვევით გვირთავენ დენს. ზოგჯერ თითქმის მთელი დღის განმავლობაში ვსხედვართ ბნელში მშვიდრნი და გათოშიდნი. მოზრდილ ხალხს კიდევ არაფერი გვიჭირს, მაგრამ ბავშვები? თავად განსაჯეთ ჩვენი გასაჭირი: ზოგს ახალშობილი გვყავს ოჯახში, ზოგსაც მცირეწლოვანი ბავშვი, რომლებსაც რო-

ცა მოშივდებათ, უნდა აქამო და არანაირი სხვა პრობლემა დედა-მიწის ზურგზე მათ არ აწუხებთ... გთხოვთ, თქვენი გაზეთის დახმარებით ჩვენი გულისტკივილი შეატყობინოთ რაიონის ელექტროსამსახურის მუშაკებს, რათა მტკიცედ დაიცვან გრაფიკი და შიმშილით ნუ ამოგვბოცავენ.

20-ზე მეტი ხელმოწერა
რედაქციისათვის: ასეთი შინა-არსის წერილები მრავლად დაგროვდა სარედაქციო ფოსტაში. ტელეფონითაც ხშირად შემოგვიჩვიან შეწუხებული მოქალაქენი. მხოლოდ დიდი დილმის მცხოვრებთ არ აწუხებთ ელექტროენერჯის გრაფიკის დარღვევით მიწოდება. ანალოგიურ მდგომარეობაშია თბილისის სხვა რაიონებიც, განსაკუთრებით ისინი, სადაც მოსახლეობა ელექტროქურდებით სარგებლობს.

ვაქვეყნებთ ამ წერილს და იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სამსახურები გაითვალისწინებენ მოზინდრეთა თხოვნას — ელექტროენერჯის მიწოდებისას შემდგომში მაინც დაიცვენ საგანგებო სიტუაციით გათვალისწინებულ ელემენტარულ წესებს.

როგორსა ასხან ყურნი სმენად, ისმინან!

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი? ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი.

აბაკი წარათელი

ნასკნელი ხერხი ყველაზე უღირსია ქალის დაუფლების მეთოდთა შორის — განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალი სასოწარკვეთაშია და შიმშილისაგან გადასარჩენი მხოლოდ საკუთარი თავი კი არ ჰყავს, არამედ სხვებიც. ყველაზე უპატიო და უზნეო ხერხია, თქვენ თვითონ რომ შეუქმნით

ზე ძვირფასი გვეყვს და იმის მომავალს, რაც ყველაზე ძვირფასი გაგვაჩნია ამქვეყნად, რათა ჩვენი საზიდი ტვირთი და მსხვერპლი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს არ გადაეცაქროთ!

ნ. ცხირელი

ბატონ აკაკი ბაქრაძის წერილებსა და მასთან ინტერვიუებს ყოველთვის დიდი ინტერესით ვაღვრებთ...

აღნიშნული ტიპის საზოგადოებაში კერძო საკუთრება არ იყო, ანდა უმნიშვნელოდ იყო, განვითარებული საკუთრების წამყვანი ფორმა იყო საოფლო-საბრძოლო ან სახელმწიფოებრივი...

მცხოვრებმა, გარეშეაზიური ხალხებით და დაწვრილებით (ურთიერთობით, გყ) შემოწმდებოდა, მეფის უფლებებს მისცა ნამდვილი ევროპული თვისება...

სეთის იმპერიაში მოსახლე ხალხები ისტორიის განვითარების ბუნებრივ გზას მიჰყვებოდნენ, 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ, ისინი სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ...

სხვა ხალხში. ასე რომ, მსჯელობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პერიის ხალხების ჩაქურდების მიხედვით შეცვლის ნიშნავდა...

ზოგირით მოსაზრება ერთი ინტერვიუს გამო

გახლდათ დესპოტიკა. ყოველივე აქედან გამომდინარეობდა „საყოველთაო მონობა“ დესპოტიკის მიმართ...

ტევებელ ცოდვას შეადგენდა (იხ. ავტორის „რანი ვიყავით გუშინ“ ტფილისი, 1892, გვ. 23). ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტული განცხადებით...

რად შეინიშნავს: „უბედურება მერე დატრიალდა, როცა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ძალაუფლება ხელში ბოლშევიკებმა აიღეს...

ერთი სიტყვით, როდესაც ლაბარაკია ისტორიის ბუნებრივ მსვლელობაზე 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ დროინდელ რუსეთში, ამაში უფრო ის უნდა გვიხსნის, რომ ადრეა ძველი სოციალ-ევროპული...

ალე, გისმენთ... დიან, „საქართველო“... მოითმინეთ, ქალბატონო... არა, ჩვენ არ... ეგ რა შუაშია... არა, ეგ ნათქვამი... მოიცადეთ... კი, სწორი ბრძანდებით... ნამდვილად... ჩვენ ვართ გველები, მოღალატეები, გამყიდველები... დიან, დიან, მართალი ხართ, ხანჯლებით ვართ ასაკულები ყველანი...

ყვავილები ძალგაბონე პაატარინასთვის

მტინების დარბევას კი იმას გეტყვით, რაც ადრე დაგვიწერია — სროლა დაუშვებელია... კარგი რა, ქალბატონო, გეყოფათ ლანძღვა, დამწვრილი და წყნარად ვისაუბროთ, როგორც ორ განათლებულ და კულტურულ ადამიანს შეუძენია... აჰ, ეგ რა ბათქმენიათ ბრბოო? მე როდის გიწოდეთ, როგორ გეკადრებოდნენ? მე ისე მოგმართავთ, როგორც სრულიად განსაკუთრებულ პიროვნებას... შეიძლება ჩვეულებრივად იყოთ, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანი სწორედ განსაკუთრებული და არა... დიან... აი, რომ დამწვრილი და წყნარ საუბარზე გადახვედით, როგორ შეგეცვალათ... ანდა უკვე სხვა კუთხით წარმოგიდგინეთ... როგორ და, აი, ვთქვით, როგორ: მოგართმევდით მიხაკებს და ზაფხულის მოსვლას მოგილოცავდით... მაშინ ვარდების თაფლით გეწვეოდით... დიან, დიან... და თუ უფრო ვარდებს იტანთ, აი, რომ იტყვიან ხოლმე, ნემსის უფრო გავძვრებოდი და, ნამდვილი იტანს კონას ვიშოვიდი თქვენთვის... არა, მე ნამდვილ იტანე გეუბნებით, ბუჩქის ძირას თავს რომ იწონებდით ხოლმე... ვიცი ერთი ადგილი... დიან, მოგართმევდით და გალავტონს წაგიკითხავდით... არა, როგორ გეკადრებთ, მართლა გეუბნებით... ქალბატონო, ჩვენი საუბრის განმავ...

ლომაში მე ერთხელაც არ მიგრძობინებია, არათუ მითქვა თქვენთვის, რომ ვერ დავიტოვებ, ვთქვით, თქვენც გემეფროთ ის დეჟეს... ჰო, „სიმები ჩვენ ვართ ყველა“... დიან, დიან... ჰო, იმას მოგახსენებდით, რა ბედნიერება ამ არეულ-დარეულ დროში მოეწია რომ გეკავს ძალიან დიდი... აი, თუნდაც ასეთი ნათქვამი რომ არსებობს — „როგორც ნაწილობა სილაში ვარდი...“ კი, თავიდან მასე და მერე: „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სიღაჟვარდე“... არა, მაინც რამ ათქმევინა, ეს ვინ გეყვას, არა, ქალბატონო?... ახლა ხალხური? მოყვით და ვეფხვის ბაღადა გამახსენდა, გახსოვთ, იმ მოყვით დედა რომ ტირის — „იქნება ვეფხვის დედა ჩემი მწარედა ტირის? წავიდე, მეც იქ მივიდე, სამიშინარ ვუთხრა პირისა“... ვინც შეიღო მოუკლა, იმის დედასთან მიდის სატირად... აი, როგორი მანდილონები გეყვავდა... კი, გეთანხმებით, მეც ეგ მწერალი მიყვარს უფრო მეტად... დიან, კი ეგეც მაგრამ წინ რომ თქვით, ის უფრო რაღაც სხვანაირად ვერს, უფრო მეტ პატავს ცეცხლს... არა, არა, ის ჩემთვის კერპი არ არის, მე ეს ჩემთვის ვიცი და, რა თქმა უნდა, მასთან არ მივალ და ამას არ ვეცდები... და არც თვითონ მომიწონებს... კი, ვიცნობ და ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს... რა...

ტომ და, მაგის ასხა ჩვენს გაზეთში უკვე ეწერა — „არავის ვეგმობ, არცა ვემონო, გარეშე ღვთისა დამბადებლისა“... საკმარისია რა, ქალბატონო, თქვენი ჰირომე, რა საჭიროა ამაზე საუბარი, ანდა ეგ რა გამოთქმა... რომელიმე პარტასთან და ორგანიზაციასთან ერთად კი არა, არამედ ცალ-ცალკე ვაგებთ მასებს ჩვენს საქციელზე... კი, უწინასთან... ჰო, თქვენ, ასეთ განათლებულ და კულტურულ ადამიანს, რატომ არ გასურთ იმის გაგება, რომ... ვთქვით გაგაშფავეს, მაგრამ თქვენ არ უნდა გაშფადეთ... აი, თქვენ ხომ გვათ მეგობარ... ძალიან კარგა... ახლა მითხარით, როგორი მეგობარი ვერჩვენით, რომელიც ვთქვით და, თქვენს არასწორ ნაბიჯს გაამართლებს და შეგაქვით, თუ რომელიც კეთილმოსურსის პოზიციიდან გაგაკრიტიკებთ, დავუშვით გეტყვით, რომ ამ გზით თუ ივლით, უფსკრულში გადავარდებით... კი, მართალი ბრძანდებით, მეც მეორენაირ მეგობარს უფრო ვაყვას და შეიძლება იმ პირველს - სულ რომ გაქვით, იმას ვსულიხსნობ — მეგობარი არც კი შევინა... შეძახილმა გე გახსოვო, რომ გაგიგონათ, სულ რომ მიხატო, რომ მხოლოდ კარგი კი არ ვარ, ჩემნაირი არავინა მსისკვეთეთში... ჰო, და, ნებისმიერ მთავრობასაც სჭირდება ასეთი ოპოზიციური აზრი და ვინ უნდა უთხრას, თუ არა პრესა... ასე რომ, ჩვენ...

არავის მხარდამკრები არ ვართ, უფრო სწორად, ვცდილობთ სიბრძნელს და ვუჭირით მხარი, ეგ არის და ეგ — როგორ გეკადრებთ, ქალბატონო, რომელი ენატკბილი მოუხარი მე ვარ... თქვენი ჰირომე, აღარ გვიანდა რა ამ პოლიტიკაზე საუბარი. ისე დავიღვდე, მეტი აღარ შემიძლია... უბედურება სწორედ ის არის, რომ ვდავართ ყველანი და პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ... მხოლოდ თქვენზე კი ნუ მიიღებთ, მეც ასე ვარ... მე მგონია, რომ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ კარგად და ჩვენი პოლიტიკაც ეგ იქნება და სტრატეგიაც... ქალბატონო, რატომაც სულ იმის დამტკიცება გინდათ, რომ თქვენ ბრბოს წარმომადგენელი ხართ, მე კი მიიღებ ამ საუბრის განმავლობაში უარყოფილ მაგ აზრს და ვისაუბრებთ კიდევაც ადამიანი, თუ ის პიროვნებად გრძობს თავს, შეუძლებელია ბრბოს წარმომადგენელი იყოს... არა, ქალბატონო, თქვენი ჰირომე, ნუ გაგაშფაობთ ზოგიერთის არაკორექტული გამოხატვებით, დრო მოვა და თავაზიან საუბარსაც ვისწავლით... მე სულ ვცდილობ, რომ ჩემთან მოკამათეს, რაც არ უნდა არ მომიწონდეს მისი აზრები, შეურაცხყოფა არ მივაყენო, უფრო არ ვატკინო... მართალია ბრძანდებით, ახლა უფრო უნდა გეთანხმებით... თუ შეიძლება, მითხარით, ვის ვესაუბრე... მე მხოლოდ მოსულიშვილი ვარ... არა, უბრალო თანამშრომელი... თქვენ რატომ მიმდებარებ, მე ხომ გითხარით ჩემი გვარ-სახელი... თქვენი ნება... მაშინ მე, ვთქვით და, ეკატერინეს დაგვიხსენებთ, კარგი?... ძალიან კარგი... თქვენი მისამართი რომ ვიცოდებ, იტანს კონას მოგართმევდით... კი, ვიცი, ვიცი... კარგად ბრძანდებოდეთ... ჩათვალეთ, რომ იტანს მოგართმევთ... და შეგვეხმინეთ ხოლმე... მსხვილკაობრიანი კი არა ნამდვილი იტან...

თემურ ფიფია — დაიბადა 1958 წელს, 1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1984 წელს ფილოსოფიის ასპირანტურა. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1980-1988 წლებში მუშაობდა თსუ ეთიკის კათედრაზე ლაბორანტად. 1988 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი და ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელია. არის საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. ჩვენი კორესპოდენტი ესაუბრა ბ-ნ თემურ ფიფიას.

— ბ-ნ თემურ, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დამთავრებისთანავე უკვე ნოემბერში თქვენ ჩვენთან მოიტანეთ წერილი „მართალს ვიტყვი“. ჩვენ რა არ დავებუდეთ იმ მოსაზრებით, რომ არ ვეთანხმებოდით ახალი ხელისუფლების თქვენებულ შეფასებას და თანაც არ გვინდოდა, ახალი მთავრობისთვის თავზე დაგვეჩხავდა იმ დიდი ამოცანების შესრულების წინ რომელიც მათ ჰქონდათ გადასაწყვეტი. სამწუხაროდ, თქვენ მართალი აღმოჩნდით: გამსახურდიას ხელისუფლება დამარცხდა, და მან ჩიხში მოაშუქვედია საქართველო. ახლა რას გვეტყვი?

— რაც მოხდებოდა და როგორ უსახელოდ დაასრულებდა გამსახურდიას თავის მმართველობას, ამას დიდი წინასწარმეტყველის ნიჭი არ სჭირდებოდა. ეს ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ყველა გონიერი ადამიანისათვის ნათელი იყო. ამიტომ აღმოჩნდა ეროვნული მოძრაობის უდიდესი ნაწილი გამსახურდიას მოწინააღმდეგე, ფორუმის გახლეჩის შემდეგ. მაგრამ გამსახურდიას მხარეში ამოუდგნენ ისინი, ვინც ხელისუფლებას მიეღობოდა და ამისთვის თუნდაც ეშმაკს მიჰყიდდა სულს.

— მოდით, თავიდან დაიწყოთ. საზოგადოებას ახსოვს (და ამას თქვენ ოპონენტები არაერთხელ გახსენებდნენ), რომ თქვენ ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყავით. ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია გამსახურდიას დასაცავი თქვენი წერილი, ფორუმის გახლეჩის შემდეგ თქვენ ერთ-ერთი ყველაზე პრინციპულ კრიტიკოსად იქცით. რატომ მოხდა ასე?

— არსებობს ცნობილი გამოთქმა: „ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი გმირები ჰყავს“, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ არის მისი პასუხიც: „უბედურია ერი, რომელიც ასეთ გმირებს საჭიროებს“. ქართველი ერი 80-იანი წლების ბოლოს ისტორიულ გზაგასაყარზე, ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ამ დროს ერში გაჩნდა მოთხოვნილება ერის წინამძღოლზე, რომელიც შეტანაკლებად უსისხლოდ და უდანაკარგოდ გაგვატარებდა ჩვენი ისტორიის ამ უძნელეს მონაკვეთს. თავისთავად ასეთ მოთხოვნილებაში შეცდულს ვერაფერს ვხედავ და მას ისტორიის ობიექტურ კანონზომიერებად ვთვლი, ხოლო იმ ლიდერთაგან, რომელიც ამ დროს აღმოაჩნდა ქართველ ხალხს, გამსახურდიას ყველაზე უფრო ხელმძღვანელობდა ერის წინამძღოლის ფუნქციის შესრულება. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა გარედან. თუ ეს არ მოხდა, ამაში უმთავრესი როლი მისმა პირადმა თვისებებმა და უახლოესმა გარემოცვამ

ითამაშა. არ არის აუცილებელი, გმირი მაინც დაჰმარცხდეს დიქტატორად გადავიარდეს. ამის ცოცხალ მაგალითად პაველიც გამოდგება. გამსახურდიას შემდეგ ერი გავერთიანებინა, თავისუფლებაც მოეტანა და ისტორიაში დიდებით შესულიყო. ფორუმის გახლეჩით ჩაიდინო იქნა არა მართო შეცდომა, არამედ ლაღატყ, რის შემდეგ მე არ შემეძლო მის გვერდით

დნენ ან შეისვენდნენ აბსოლუტური ხელისუფლებით დაბრმავებულები. ამასთან, ეს მხოლოდ პიროვნული მომენტებით არ იყო გამოწყველი. ხალხმა გამსახურდიას ეროვნულ მოძრაობასთან გააიგივა და კარგად ვერც იხსოვდა, მის „ჩაძირვას“ შეეძლო ეროვნული ნიჭილი ზმი გაეჩინა. ჩვენს პრესაში უკვე გაჩნდა და ალბათ მალე უფრო დიდ მასშტა-

ვნილი მოძრაობის გახლეჩა? — საქართველოში პარალელურად მიმდინარეობდა თავისუფლებისათვის და ხელისუფლებისათვის ბრძოლა. მათი მიზნები და შესაბამისად, საშუალებებიც არ ემთხვეოდა ერთმანეთს. შემდეგ მოხდა მათი აღრევა და დიდხანს ვერავინ გააკვევდა, მართლაც ვინ რისთვის იბრძოდა. სწორედ მაშინ შემოვიდა მოძ-

სუფლებებისთვის მებრძოლთა რაგვებში არანაკლები რადიკალები აღმოჩნდნენ. ეს ზოგადად, კონკრეტულად, ვინც ასე მოხდა: ეროვნულმა მოძრაობამ თავის კულმინაციას 1990 წლის მარტში მიაღწია. ამის დადასტურება იყო მარტის ცნობილი კონფერენცია და ეროვნული ფორუმის შექმნა. მაგრამ ამ კონფერენციაზე თვით პაატა შვილიშვილი და მკირე ჯგუფმა გამოთქვეს აზრი არასაბჭოური, მაგრამ ოფიციალური არჩევნების შესახებ. ეს აზრი მაშინ უკუგდებულ იქნა, პირველ რიგში თვით ზვიად გამსახურდიას მიერ. მაგრამ 1990 წლის 9 აპრილს მოხდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი, რომლისგანაც მალე უზარმაზარი ლოდი აგორდა: 9 აპრილის წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგის დროს, მთავრობის სახლის კიბეების უკან ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერებს და მომავალი პრეზიდენტის მემულეს შორის მძაფრი კონფლიქტი მოხდა, რომლის დროსაც ამ უკანასკნელმა ქურთური ჭარგონის ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მიხედავ, ეს ამბავი ასე უბრალოდ არ ჩაივლიდა და არც ეს ქედმაღალი ქალბატონი დათმობდა რაიმეს.

შემდეგმა სულ მალე იჩინა თავი. 22 აპრილს გამსახურდიას ფორუმისგან გავიდა, თუმცა მერე მიზეზად 24 აპრილს ფორუმის შენობასთან მომხდარი სროლა დაასახელა. ამასთან, მან ხელი ჩასჭიდა უდიდურ, პოლიტიკურად უმწიფარ, ყოველად დაუსაბუთებელ და გაუმართლებელ კონცეფციას, რომლის ძირითადი მიზანი ხელისუფ-


ლებაში გასვლა იყო. მთელი აბსურდული მტკიცება ოფიციალური, მაგრამ არასაბჭოური არჩევნების შესახებ იყო მხოლოდ „მორიგი ტაქტიკური უკუსვლის“ გამართლება, რაც იმითაც დადასტურდა, რომ ხელისუფლებაში ისე გავიდნენ, არც გახსენებიათ, შესრულდა თუ არა „მრგვალი მაგიდის“ კონცეფციაში წამოყენებული პრინციპები. მოკლედ, მთავარი უბედურება ეროვნული მოძრაობის ხელისუფლებაზე ორიენტაციამ გამოიწვია და „მრგვალი მაგიდის“ კონცეფციის ავტორებს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ერისა და ისტორიის წინაშე.

— კი მაგრამ, ძალუფლების მოპოვება ხომ ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლის ქვაკუთხედაა?

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უფრო მეტია, ვიდრე ხელისუფლებისათვის ბრძოლა. ამ განსხვავების გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია უამრავი გაუგებრობა და კონფლიქტი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იცოცხლეთ, ხელისუფლებაში ყოფნა კარგი იყოს და ჩვენც ერთი ხელის გაწვდენა გვჭირდებოდა მის მოსაპოვებლად, მაგრამ ვიცოდით, ეს ბუმერანგივით შემოუტრიალდებოდა ეროვნულ მოძრაობას. მაშინ, ორი წლის წინ ვწერდი: „...სავესებით უეჭველია, რომ ოკუპაციის პირობებში ეროვნული ძალების მოსვლა ხელისუფლების სათავეში აუცილებლად გამოიწვევს იმპერიასთან გარკვეულ კომპრომისებს, რაც შებნელებს ქართველი ხალხის მისწრაფებას სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ. უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ეროვნული პარტიების ლიდერთა გულზე ხელის ბრავუნნი და გულმხურვალე დამირებები, რომ ისინი არავითარ დათმობაზე არ წავლენ იმპერიასთან, ან მათ პოლიტიკურ უმწიფრობას ამტკიცებს, ანდა ეს ქართველი

თემურ ფიფია:

თავისუფლება თუ კალაუფლება?



ვეფლიყავი. უნდა ვთქვა ისიც, რომ მიუხედავად ოფიციალურ პრესაში ჩემს მიმართ ღვარძლიანი და შეურაცხყოფილი კრიტიკისა, მე ახალ ხელისუფლებას კრიტიკაში არ ჩაედგომივარ და მხოლოდ მის შეცდომებს არ ვთვლიდი. ჩემს წერილებში, რამდენადაც შემეძლო, ნაკლის ჩვენებასთან ერთად, მისი დასაძლვევი გზებიც იყო მითითებული. გულუბრყვილოდ ვემდოვინებდი, რაიმეს მაინც დაინახავ-

ბებს მიიღებს ეროვნული მოძრაობის ჩასაკლად გამოჩნული პუბლიკაციები. გამსახურდიას მცდარმა პოლიტიკამ და დიქტატორულმა რეჟიმმა ასეთ პუბლიკაციებს საკმაოდ მეტი საფუძველი მისცა. თუმცა უნდა ვთქვა ისიც, რომ ეროვნულ მოძრაობას საჭირო ძალა აქვს იმისათვის, რომ ყველა თრითინას თავისი ადგილი მიუჩინოთ.

— რატომ და როდის მოხდა ერო-

ბობის რადიკალებად და ლიბერალეზად დაყოფა, თუმცა იგი არაზუსტი იყო. ეროვნული მოძრაობისადმი მიკუთვნების ნიშნად ოფიციალური სტრუქტურებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ანუ რადიკალობა ითვლებოდა. ეროვნულ ყრილობაზე გამოჩნდა, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლაში შესაძლებელი და აუცილებელიც კია ოფიციალური სტრუქტურების გამოყენება, ხოლო ხელი-



ასლი გაზეთი „საქართველოს“ რეაქციას

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ორად გაიზარდა მესტიის რაიონი, მაგრამ სხვა რეგიონებთან შედარებით აქ მაინც შეინარჩუნეთ სტაბილიზაცია. სიმშვიდის შესანარჩუნებლად ყველა სოფელში შეიქმნა ნაფიცთა საბჭოები, რომელთა წარგზავნილებისაგან ჩამოყალიბდა ნაფიცთა რაიონული საბჭო. ამასთან ერთად, გვყავს სასოფლო და რაიონული საკრებულოები.

რაიონის საკრებულომ და ნაფიცთა საბჭომ თავიანთ გაერთიანებულ

სესიაზე უკვე აირჩიეს საკრებულოს გამგეობა, მისი თავმჯდომარე და მოადგილეები, რომლებსაც ენდობა რაიონის მოსახლეობის არანაკლებ 99 პროცენტი. მათ შეუძლიათ პრინციპულად დარაზმონ რაიონის მოსახლეობა უსამართლობის, ძალმომრეობის, დაპირისპირებულობისა და დესტაბილიზაციის აღსაკვეთად, ურთიერთსიყვარულის, ძმობის, ნდობის, ერთგულებისა და თანადგომის დასამკვიდრებლად.

სვანეთი ყოველთვის იყო და არის საქართველოს საერთო ნების

ურყევი აღმასრულებელი, მისი ერთგული ჭირისუფალი და მეციხოვნე, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ნაკლები ანგარიში ეწეოდა რაიონის მოსახლეობის აზრს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას გვინიშნავდნენ ზემოდან. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. საქართველოს ახლანდელმა ხელმძღვანელობამ უგულვებელყო მესტიის ნაფიცთა საბჭოსა და საკრებულოს სამართლიანი გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად აირჩიეს საკრებულოს

გამგეობა, მისი თავმჯდომარე და მოადგილეები. მათ კარგად იციან რა უჭირს და რა უღონს ჩვენს რაიონს, შეუძლიათ ხალხის ფართო მასების მობილზეება საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად.

ჩვენი რაიონის მოსახლეობის აზრს ანგარიშს არ უწევენ აგრეთვე თბილისში მცხოვრები ზოგიერთი სვანები (კერძოდ, საზოგადოება „სვანეთი“ და მისი პრეზიდენტი).

რაიონის ნაფიცთა საბჭო, საკრებულო და მოსახლეობა აღშფო-

თებულია აღნიშნული მდგომარეობით და მოითხოვს ანგარიში გაეწიოს საზოგადოებრივ აზრს და არ მოგვახვიოთ თავს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის ახირებული ნება-სურვილი.

გთხოვთ დაამტკიცოთ მესტიის რაიონის საკრებულოსა და ნაფიცთა საბჭოს მიერ ერთხმად არჩეული საკრებულოს გამგეობა, მისი თავმჯდომარე და მოადგილეები.

მესტიის რაიონის საკრებულო
 მესტიის ნაფიცთა საბჭო

ამიერიდან გაზეთი „საქართველო“ იწყებს სარეკლამო განცხადებების გამოქვეყნებას.

ჩვენი გაზეთის კარი ღიაა ყველა დაინტერესებულ პირისა და ორგანიზაციისათვის.

გაზეთ „საქართველოში“ რეკლამას რეკლამა არ სჭირდება

გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა პოეტ ხოზე ადვიშვილის ლექსების კრებული „იმერეთის მონატრება“.

წიგნის სათაური, რა თქმა უნდა, პირობითია. ერთიანი, ღონიერი, გონიერი და ამაღლებული საქართველოს სევდიანი მონატრება სუფევს ხოზე ადვიშვილის ლირიკულ ლექსებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ერის სატკივარი სტკივა და სიხარული უხარია ქვეყნის ბედ-იღბალზე ჩაფიქრებულ პოეტს.

ვფიქრობთ, ვისაც პოეზია უყვარს დიდი ინტერესით გაეცნობა ამ წიგნს.

გთავაზობთ ხოზე ადვიშვილის ერთ ლექსს:

შეგონება

დრო მიდის, სადა ხარ, ძვირფასო,
 დრო მიდის და — ყველი დღისდღის.
 როდემდის არ უნდა მიეზღოს,
 ღმერთსა და კეისარს — კეისრის.
 დრო მიდის, დიდ ეშმაკს სიზმარში
 ატყუებს პატარა მაცდური.
 როდემდის არ უნდა მოისპოს
 უტვინო თავების კანტური.
 არასდროს ყოფილა თვისტომში
 ამდენი ცოდვილი ქართველი.
 როდემდის არ უნდა დაერქვას
 ყველაფერს თავისი სახელი.
 არ ვიცი, საიდან გამრავლდა
 ამქვეყნად ამდენი სატანა,
 როდემდის არ უნდა იცოდეს
 ქართველმა ქართველის გატანა.

გაზეთი „საქართველოს“ ხელმოწერითა საყურადღებოდ!

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენთვის არასასურველი ნაბიჯი — ახალი წლიდან ოთხჯერ გავეძვირებინა „საქართველოს“ საცალო ღირებულება, რაც მკითხველს წინდაწინ, ბოდიშის მოხდით ვაუწყებ.

დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული ამბების გამო ვერ მოვახერხეთ შესაბამისად გაგვეზარდა ფასი ხელმოწერითავე, რამაც ჩვენი გაზეთის ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. თავად განსაჯეთ, ის თანხა, რაც მთელი წლით გამოწერის საფასურს (12 მან) შეადგენს, გაძვირების შემდეგ მხოლოდ 6 ნომრის ფასს ანაზღაურებს. მაშინ როცა, უკვე გამოვეცით ცხრა ნომერი.

რათა ეს შეუსაბამობა გამოწვრილდეს, გაზეთის ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებულნი ვართ 1 აპრილიდან შევჩეროთ ძველი და გამოვაცხადოთ ახალი ხელმოწერა ნომერზე 50 კაპიკის დაკლებით:

3 თვით — 18 მანეთი
 6 თვით — 36 მანეთი
 9 თვით — 54 მანეთი

იმედია, ამ იძულებითი ღონისძიების გამო მკითხველი ზურგს არ შეაქცევს „საქართველოს“.